POWER OF ATTORNEY

By this Power of Attorney issued on the 19th day of July, 2013, **BASEL LLC**, the company registered in accordance with the Georgian legislation (ID No204469707) referred to herein as "Company", represented by its director **RONALD WALDMANN** (born 19.12.1972, Citizen of Switzerland, Passport No X0389834), do hereby appoint **FALK SIDDHARTHA SPORRI** (born on June 18, 1971 Citizen of Switzerland, passport No X1557026) as true and lawful attorney of company, referred to herein as "Attorney", to act solely and independently as legal representative of the Company and to execute the following actions:

To execute any transactions on behalf of the Company with any third parties including acquisition, purchase, hypothecation and/or mortgage, removal of hypothecation and/or mortgage, parcel and reassemble, sale of any movable or immovable property or rights together; to establish the company/companies in accordance with the Georgian legislation and to make any decision on behalf of the founder of the company. To represent the Company at any bank in Georgia in order to operate the accounts and to obtain credits (loans), to conduct any actions and sign any document required for obtaining of credits, to receive any document or information regarding the bank accounts of the Company.

To represent the company against any third parties including individuals and legal entities, in arbitration, administrative and civil litigation proceedings before all panels, all instances of common courts of Georgia, administrative and state authorities, including the Ministry of Finance and its structural entities and tax inspections, the Ministry of Justice, the National Agency of Public Registry and its structural entities and territorial services, Ministry of Finance and the Revenue Service to submit claims, demands, actions, suits, requests for registration, to send and receive notifications, to tender evidence, to challenge judges and arbitrators, to appoint experts, arbitrators, to settle all disputes, to request attachment, its

რწმუნებულება

წინამდებარე რწმუნებულებით, რომელიც გაცემულია 2013 წლის 19 ივლისს, შპს **„ბაზელი"**, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (სნ 204469707), შემდგომ მოხსენიებული როგორც „კომპანია", წარმოდგენილი მისი დირექტორის **რონალდ ვოლდმენის** (დაბ. 19.12.1972. პასპორტის № X0389834), სახით, **ფალკ სიდჰარტა სპორი** (დაბადებული 1971 წლის 18 ივნისს, შვეიცარიის მოქალაქის პასპორტი № X1557026), როგორც კომპანიის ნამდვილ და სრულუფლებიან წარმომადგენელს, შემდგომ მოხსენიებულს როგორც „წარმომადგენელი", როგორც კომპანიის წარმომადგენელმა იმოქმედოს ერთპიროვნულად და განახორციელოს და შემდეგი მოქმედებები:

განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება კომპანიის სახელით მესამე პირის წინაშე, მათ შორის შეიძინოს, დატვირთოს იპოთეკით ან/და გირავნობით, გააუქმოს იპოთეკა ან/და გირავნობა, დაყოს და გააერთიანოს, გაყიდოს ნებისმიერი მოძრავი თუ უძრავი ქონება ან უფლება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს კომპანია/კომპანიები და როგორც დამფუძნებლის წარმომადგენელმა მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილებები. წარმოადგინოს კომპანია ნებისმიერი ბანკის წინაშე საქართველოში, განკარგოს კომპანიის საბანკო ანგარიშები, მიიღოს კრედიტები (სესხები), განახორციელოს ნებისმიერი ქმედება და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც აუცილებელია კრედიტის მისაღებად, მოიპოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია კომპანიის ანგარიშების შესახებ.

წარმოადგინოს კომპანია მესამე პირების წინაშე, მათ შორის ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე, არბიტრაჟში, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საპროცესო მოქმედებებში საქართველოს სასამართლოების ყველა ინსტანციაში, ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ორგანოებში, მათ შორის იუსტიციის სამინისტროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ სამსახურებში, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურში, წარადგინოს სარჩელები, მოთხოვნები, საჩივრები, განცხადებები, განცხადებები რეგისტრაციის თაობაზე, გააგზავნოს და მიიღოს შეტყობინებები, წარადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს არბიტრების და მოსამართლეების აცილების საკითხი, დანიშნოს ექსპერტები, არბიტრები, დაასრულოს დავები მორიგებით, მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, მათი გაუქმება ან შეზღუდვა, მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, განახორციელოს ნებისმიერი სხვა უფლება, მოქმედება და ღონისძიება, რასაც ითვალისწინებს კანონი და წესები მომჩივანისათვის, მოსარჩელისათვის, მოპასუხისათვის ან მესამე პირისათვის არბიტრაჟში, ადმინისტრაციულ, სისხლის და სამოქალაქო პროცედურებში.

განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რასაც რწმუნებული მიზანშეწონილად და აუცილებლად მიიჩნევს კომპანიის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად

lifting or limitation, to claim enforcement of the court decision, to have and exercise all other rights, powers and privileges as may be conferred by law or rules upon a plaintiff, claimant, defendant, respondent or third party to arbitration, administrative, criminal and civil litigation proceedings.

To execute any other actions that Attorneys consider reasonable and necessary for the representation and protection of the Company's right and interests in Georgia with regard to the authority given hereto.

The authorization given to Attorney under the present Power of Attorney is subject to the following additional authorization by director of the Company, Ronald Waldmann:

Attorney is authorized to execute transactions, agreements, or acts the value of which exceeds Gel 1 000 (one thousand) only after prior written authorization of Ronald Waldmann arranged through e-mail from ron@baselgroup.com to e-mail: to Attorney (**FALK SIDDHARTHA SPORRI**) e-mail: falk@krtsanisi.com

This Power of Attorney is given for an unlimited period of time and is effective till its revocation by the Company.

IN WITNESS WHEREOF, I have hereunto set my hand this 19th day of July 2013.

/Signature/

Ronald Waldmann

on behalf of BASEL LLC

RONALD WALDMANN

საქართველოში, წინამდებარე რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.

წინამდებარე რწმუნებულების საფუძველზე რწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელება დამოკიდებულია კომპანიის დირექტორის რონალდ ვოლდმენის დამატებით ავტორიზაციაზე:

რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს გარიგებები, ხელშეკრულებები, ქმედებები რომლის ღირებულებაც აღემატება 1000 ლარს (ერთი ათას ლარს) წინამდებარე რწმუნებულებით გათვალისწინებული ქმედებები მხოლოდ რონალდ ვოლდმენის წერილობითი ავტორიზაციის შემდეგ, რაც განხორციელდება ან/და ელექტრონული ფოსტის ron@baselgroup.com მეშვეობით, რომელიც გაეგზავნება რწმუნებულს (**ფალკ სიდჰარტა სპორი**) ელ. ფოსტა: falk@krtsanisi.com

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს კომპანიის მიერ მის გაუქმებამდე.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ხელს ვაწერ წინამდებარე რწმუნებულებას 2013 წლის 19 ივლისს.

/ხელმოწერა/

რონალდ ვოლდმენი
შპს „ბაზელის“ სახელით

Amtliche Beglaubigung

Die unterzeichnende Urkundsperson des Kantons Nidwalden, lic.iur. Armin Eberli, von Giswil in Stans, bescheinigt, dass die Unterschrift von Ronald Waldmann, geb. 19.12.1972, von Basel BS,

in ihrer Gegenwart angebracht/~~als seine bzw. ihre Unterschrift anerkannt~~ worden ist. Die betreffende Person ~~ist ihr bekannt/~~ hat sich über ihre Identität ausgewiesen.

Stans, 19. Juli 2013

Die Urkundsperson

STAATSKANZLEI • KANTON NIDWALDEN •

LIC. IUR. ARMIN EBERLI • LANDRATSSEKRETÄR URKUNDSPERSON • KANTON NIDWALDEN

APOSTILLE
(Convention de la Haye du 5 octobre 1961)

1. Country: Swiss Confederation, Canton of Nidwalden
   This public document
2. has been signed by
   lic. iur. Armin Eberli
3. acting in the capacity of
   Landratssekretär / Urkundsperson
4. It bears the seal/stamp of
   Landratssekretär / Urkundsperson Kanton Nidwalden

CERTIFIED

5. at Nidwalden
6. on 19. Juli 2013
7. by the Chancery of State of the Canton of Nidwalden
8. under no. 327/2013
9. Stamp / seal
10. Signature

STAATSKANZLEI • KANTON NIDWALDEN •

LIC. IUR. HUGO MURER • LANDSCHREIBER URKUNDSPERSON • KANTON NIDWALDEN

ოფიციალური დამოწმება

ნიდვალდენის კანტონის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, ხელის მომწერი – ლიცენზირებული იურისტი არმინ ებერლი ადასტურებს, რომ რონალდ ვოლდმანის, დაბ. 19.12.1972წ. ბაზელი, ხელმოწერა, შესრულდა მის წინაშე. ზემოხსენებული პირის პიროვნება შემოწმებულია.

შტანსი, 19.07.2013

მმაჩის ბიუროს მოხელე */ხელმოწერილია/*

ბეჭედი – სახელმწიფო კანცელარია, ნიდვალდენის კანტონი

ბეჭედი – ნიდვალდენის კანტონი, ლიცენზირებული იურისტი ჰუგო მურერი, ნოტარიუსი

APOSTILLE

(Convention de la Haye du 5 octobre 1961)

1. ქვეყანა: შვეიცარიის კონფედერაცია, ნიდვალდენის კანტონი

მოცემულ ოფიციალურ დოკუმენტს

2. ხელი მოაწერა (გვარი): ლიცენზირებული იურისტი არმინ ებერლი

3. წარმოდგენილი: სამხარეო საბჭოს მდივანი/დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირი *სახით*

4. დამტკიცებულია ბეჭდით – შტამპით (დაწესებულების სახელწოდება): სამხარეო საბჭოს მდივანი/დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, ნიდვალდენის კანტონი

დამოწმებულია

5. ნიდვალდენი

6. (თარიღი): 19.07.2013წ.

7. (დამმოწმებელი ორგანოს სახელწოდება): სამხარეო საბჭოს სამდივნო/დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირი

8. № 327/2013

9. ბეჭედი – შტამპი: */ბეჭედდასმულია/*

10. ხელმოწერა: */ხელმოწერილია/*

ბეჭედი – სახელმწიფო კანცელარია, ნიდვალდენის კანტონი

ბეჭედი – ნიდვალდენის კანტონი, ლიცენზირებული იურისტი ჰუგო მურერი, ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130779675
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.07.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41715410811713

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს, მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. № 28/2,
ვადასტურებ უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მთარგმნელის, თინათინ უნგიაძის, დაბადებული 06.04.1980 წელს, პ/მ 01001013081, მცხოვრები: ქ. თბილისი, ტ.ტაბიძის 56-ში, ხელმოწერის სინამდვილეს.
მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე
და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

გადახდილია საზღაური: ოთხი ლ თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, მუხლი 31 და მუხლი 39, აგრეთვე დღგ 0,36 ლ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 4.36 (ოთხი ლარი ოცდათექვსმეტი თეთრი)

ნოტარიუსი ..... ნინო ხოფერია

Ich, Notarin Nino Khoperia mich unter der Adresse: Rustaveli Pr. 28/2, Tbilissi, Georgien befindet, bestätige die Echtheit der Unterschrift von diplomierten Übersetzerin Frau Tinatin Ungiadze geb. am 06.04.1980 Personalausweis 01001013081, wohnhaft in Tbilissi, Avchala -1, 202/10.
Die Übersetzerin wurde über Verantwortlichkeit belehrt, welche zur Folge einer ungenauen Übersetzung haben kann. Sie garantiert die Richtigkeit der Übersetzung.

Notarin ..... **Nino Khoperia**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140032538
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.01.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 9[illegible]0 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57802[illegible]3869614

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

დღეს, ორიათას თოთხმეტი წლის თექვსმეტ იანვარს მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 28/2. ვადასტურებ ფოტო ასლის იდენტურობას მის დედანთან, დოკუმენტი შედგენილია ხუთ გვერდზე ათ ეგზემპლარად.

გადახდილია სანოტარო შესრულებისათვის თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ მთავრობის დადგენილების მუხლი 31 პ.5, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 29.50 (ოცდაცხრა ლარი 50 თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი *ნინო ხოფერია*

ქ. თბილისი, რუსთაველის 28/2.

თანხმობის წერილი სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესახებ

წინამდებარე თანხმობის წერილით, შ.პ.ს. "ბაზელი" (შემდგომში "მესაკუთრე"), წარმოდგენილი ბატონი ფალკ სიდჰარტა სპორის სახით, რომელიც მოქმედებს 19/07/2013 გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე, როგორც 2014 წლის 18 თებერვალს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად თბილისში საფრანგეთის საელჩოს მიერ კრწანისის ქ. 49-ში იჯარით აღებული შენობისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, აძლევს თანხმობას საქართველოში საფრანგეთის საელჩოს (შემდგომში "მოიჯარე"), წარმოდგენილს ელჩის ბატონი რენო სალენსის სახით, შემდეგზე :

1.1 აშენდეს საელჩოს ვიზიტორების მისაღებად განკუთვნილი შენობა, რომელიც განთავსებული იქნება საელჩოს მიერ იჯარით აღებული ტერიტორიისკენ მიმავალ გზაზე, საელჩოს ზღუდის გარეთ, N°1 დანართში მოცემულ რუქაზე განსაზღვრულ ადგილას.

1.2 შენობის ფართი, რომელიც შეადგენს 7,2 მ²-ს, ნაწილდება შემდეგნაირად: სიგრძე 4მ², სიმაღლე 2.17მ², სიგანე 1.80მ². შენობა აშენდება ბეტონის ფილებით და მეტალის არმატურით და ექნება პოლიკარბონატის სახურავი და გვერდები, N° 2 დანართში მოცემული სქემის შესაბამისად.

1.3 აღნიშნული შენობის მშენებლობა, რომელიც მდებარეობს 2014 წლის 14 თებერვალს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიის გარეთ, არ წარმოადგენს დამატებითი ფართის დაქირავებას და არ გამოიწვევს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიის განლაგების ცვლილებას.

2. გაფართოვდეს და მოპირკეთდეს საელჩოს საკონსულო დეპარტამენტის შესასვლელის კიბეებთან მიმავალი ფეხით სავალი ნაწილი, რომლის საერთო სიგრძეც შეადგენს 16მ-ს. ამასთანავე, დაიგოს ბეტონის ფილები და დაყენდეს რკინის მოაჯირი, N° 3 დანართში მოცემული სქემის მიხედვით.

3.ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ ა) წინამდებარე თანხმობის წერილით გათვალისწინებული შენობის მშენებლობა განხორციელდება მოიჯარის ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ; ბ) წინამდებარე თანხმობის წერილი გავლენას არ ახდენს მოიჯარის მიერ გადასახდელ წლიურ საიჯარო ქირის ოდენობაზე და ამასთანავე, არც საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებამოსილებებზე; გ) მესაკუთრე უარს ამბობს ყოველგვარ უფლებაზე მოითხოვოს რაიმე სახის დამატებითი ანაზღაურება ან/და სარგებელი მოიჯარისგან; დ) მოიჯარე და მისი ვიზიტორები, იჯარის ხელშეკრულების ვადის მოქმედების პერიოდში, უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ ფართი შენობის მშენებლობისათვის.

4. წინამდებარე თანხმობის წერილი შედგენილია ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. 2014 წლის 18 თებერვლის იჯარის ხელშეკრულების 2.5 პუნქტი გამოიყენება ამ თანხმობის წერილის საფუძველზე აშენებულ ნაგებობასთან მიმართებითაც.

თბილისი, 22/10/2014

მესაკუთრე	მოიჯარე
შ.პ.ს. "ბაზელი"	საფრანგეთის საელჩო საქართველოში
ფალკ სიდჰარტა სპორი	რენო სალენსი

Falk Siddhartha Sporri Renaud SALINS